

ბანმარტებითი ბარათი
„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება განაპირობა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეფორმამ.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მმართველობის სფეროში გადაეცა სატყეო მეურნეობის, დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის, გეოლოგიისა და ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტები, რომლებიც სამინისტროს სისტემაში შევიდნენ სტრუქტურული დანაყოფების სახით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია აღმოფხვრას დღეისათვის არსებული ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც წარმოიშვას განხორციელებული სტრუქტურული და სისტემური რეფორმების შედეგად, ასევე მოიყვანოს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები შესაბამისობაში არსებულ რეალურ გარემოებებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფა, რაც უფრო ეფექტურს გახდის მას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ გავლენას არ მოახდეს იმ პირებზე ვისზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);
კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან;
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების, ფინანსთა, სოფლის მეურნეობის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტში გათვალისწინებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების, ფინანსთა, სოფლის მეურნეობის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტზე დაინტერესებული უწყებების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ცხრილი

№	დაინტერესებული უწყების დასახელება	შენიშვნის შინაარსი	შენიშვნის გათვალისწინების მდგომარეობა
1.	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (01.06.06წ. №21/1297/36)	<p>1. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი სახის შენიშვნები:</p> <p>ა) პირველი მუხლის 37-ე პუნქტით გათვალისწინებულ ცვლილებაში სიტყვების „საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ნაცვლად უნდა იყოს სიტყვები: სსიპ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის“. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 15¹⁵ მუხლის შესაბამისად სააგენტოს დირექტორს აქვს ნორმატიული აქტის გამოცემის უფლება.</p> <p>ბ) პირველი მუხლის 38-ე პუნქტით გათვალისწინებული 50-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან ამოსაღებია სიტყვები „საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი“ ვინაიდან ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების დადგენა სცილდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კომპეტენციას.</p>	<p>გათვალისწინებულია.</p> <p>არ არის გათვალისწინებული, რადგან კანონის მოქმედ რედაქციაში აღნიშნულ ბრძანების ერთ-ერთ დამამტკიცებელ ორგანოდ მითითებულია მრეწველობის სამინისტრო, ხოლო იმდენად რამდენადაც ეს უკანასკნელი გაერთიანდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან, შესაბამისად ჩანაწერი „მრეწველობის სამინისტრო“ იცვლება ჩანაწერით „ეკონომიკური განვითარების სამინისტრო“.</p>
2.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და	1. რამდენადაც წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტის შემუშავების ერთ-ერთ წინაპირობას	გათვალისწინებულია, შესაბამისი ცვლილებები

	<p>სოციალური დაცვის სამინისტრო (01.06.06წ. №01-05/10/4650)</p>	<p>წარმოდგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის „ალიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებებთან შესაბამისობასი მოყვანა, საკანონმდებლო კოლიზიის თავიდან ასცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შესაბამისი ცვლილება ასახული იქნას, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონზეც, რომელიც ითვალისწინებს „გარემოსდაცვითი ნებართვის“ არსებობის შესაძლებლობას.</p> <p>2. წარმოდგენილი კანონპროექტები საჭიროებენ რედაქციულ გადამუშავებას. აგრეთვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ტექსტში გამოყენებული უცხოენოვანი ტერმინებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი ქართული შესატყვისები.</p>	<p>წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.</p> <p>გათვალისწინებულია.</p>
<p>3.</p>	<p>საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (16.05.06წ. №4-1-12/1252)</p>	<p>შენიშვნები არ გააჩნია</p>	
<p>4.</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (08.06.06წ. №05-03/5527)</p>	<p>„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის 34-ე და 35-ე პუნქტები მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან.</p>	<p>გათვალისწინებულია.</p>
<p>5.</p>	<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (10.07.06წ. №01/23/05-6963)</p>	<p>1. კანონპროექტის შესაბამისად, კანონიდან ხდება კანონის მე-4 მუხლის “ნ” ქვეპუნქტის ამოღება, რომლის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება განმარტებულია, როგორც „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამთავრობო ან/და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, შესაბამის ცვლილებას საჭიროებს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტიც.</p> <p>2. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის)</p>	<p>გათვალისწინებულია.</p> <p>გათვალისწინებულია, კანონის შემუშავების ვალდებულება ასახულია კანონპროექტით გათვალისწინებულ 68-ე მუხლის</p>

	<p>და მასში შემაჯავალი დაკვირვების (მონიტორინგის) სხვა სახეობების წარმოების სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება „გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მითითებული კანონი არ არსებობს, ხოლო მისი შემუშავების ვალდებულება გათვალისწინებულია „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის “დ” ქვეპუნქტით. ამასთან, კანონპროექტის მიხედვით, ხდება მითითებული მუხლის ამოღება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, კანონპროექტის გარდამავალ დებულებაში აისახოს მითითებული კანონის შემუშავების ვალდებულება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 147-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის მოთხოვნათა დაცვით ან შესაბამისი ცვლილება შევიდეს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში.</p> <p>3. კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების დონეების მიხედვით იყოფა განსაკუთრებით დაბინძურებულ, მაღალი დაბინძურების, დაბინძურებულ და დაბინძურების არმქონე კატეგორიის რეგიონებად. მითითებულ ნორმასი, კანონის მოქმედი რედაქციიდან განსხვავებით, გაურკვეველი რჩება, თუ რა ტერიტორია იყოფა აღნიშნული კატეგორიის რეგიონებად.</p> <p>4. კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა დისპერსიული წყაროებიდან გაფრქვევის სახეებიდან ამოღებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა ფხვიერი, აქროლადი და აიროვანი ნივთიერებებისა და მასალების რეალიზაციის შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, შესაბამის ცვლილებას საჭიროებს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც კვლავ ითვალისწინებს ფხვიერი, აქროლადი და აიროვანი ნივთიერებებისა და მასალების რეალიზაციის შემთხვევას.</p>	<p>ახალ რედაქციაში.</p> <p>გათვალისწინებულია.</p> <p>გათვალისწინებულია.</p>
--	--	---

	<p>5. კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, თანხმად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა დგინდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის ყველა სტაციონარული წყაროსათვის. მითითებულ ნორმასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონს. ამასთან, თუ აღნიშნული ნორმის მიზანია მითითებული კანონის შემუშავება, იგი მიზანშეწონილია, აისახოს კანონპროექტის გარდამავალ დებულებაში.</p> <p>ანალოგიური ხასიათის შენიშვნა ვრცელდება, აგრეთვე კანონპროექტით წარმოდგენილი 29-ე მუხლის მე-5 და 30-ე მუხლის მე-6 პუნქტზე.</p> <p>6. კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 29² მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები, თავიანთი კომპენტენციის ფარგლებში ქ. თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამსახურები საქმიანობის სუბიექტებს წერილობით ატყობინებენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი დაბინძურების სტაციონარული ობიექტებისათვის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზრვრულად დასაშვები ან/და დროებით შეთანხმებული გაფრქვევის ნორმების პროექტის და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შესათანხმებლად წარმოდგენის აუცილებლობისა და წარმოდგენის ვადის შესახებ. აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში რეალიზებისას შესაძლო გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, მარტებულად მიგვაჩნია დაფიქსირდეს მითითებული დოკუმენტების წარმოდგენის კონკრეტული ვადა, ვინაიდან ზემოაღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტში ამ ვადაზე კეთდება მითითება.</p>	<p>გათვალისწინებულია, ჩანაწერი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი, შეიცვალა ჩანაწერით „ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობა“</p> <p>გათვალისწინებულია, კანონპროექტით შემოთავაზებული 29² მუხლის მე-3 პუნქტში მოხდა შესაბამისი კონკრეტული ვადის მითითება.</p> <p>გათვალისწინებულია.</p>
--	--	---

		<p>7. კანონპროექტის შესაბამისად ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის 45-ე მუხლი - „ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა დაკავშირებული ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ“. მითითებულ ნორმასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედების ვადაა 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღე, მაშინ როდესაც კანონპროექტით წარმოდგენილი კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. ანალოგიური ხასიათის შენიშვნა ვრცელდება აგრეთვე კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 48-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებზე.</p> <p>8. კანონპროექტის თანახმად ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის 68-ე მუხლი, რომლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის ამოქმედებამდე „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტი ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმატიული აქტების გამოცემამდე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონპროექტის თანახმად კანონის 54-ე მუხლის მითითებულ პუნქტით რაიმე ნორმატიული გამოცემის ვალდებულება არ არის გათვალისწინებული. ანალოგიური ხასიათის შენიშვნა ვრცელდება კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 68-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებზეც.</p> <p>9. კანონპროექტის შინაარსის გათვალისწინებით, იგი საჭიროებს შეთანხმებას საქართველოს შინაგან სამინისტროსთან.</p>	<p>გათვალისწინებულია.</p> <p>გათვალისწინებულია.</p>
6.	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (27.09.06წ. წერილი №6/10-4473)	პროექტის 25-ე მუხლის მე-2 – მე-4 და მე-7 პუნქტებსი გათვალისწინებული ინსტრუქციების ბრძანებით დამტკიცება ევალება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის	გათვალისწინებულია

		სამინისტროსთან შეთანხმებით, რაც მიზანშეუწონრად მიგვაჩნია და უმჯობესია ზემოაღნიშნული ინსტრუქციების შემუშავება და დამტკიცება განახორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.		
7.	საქართველოს სამინისტრო (30.11.2006წ. №01/23/05-11774)	იუსტიციის წერილი	<p>1. “ატმოსფერული ჰაერის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) და მასში შემავალი დაკვირვების (მონიტორინგის) სხვა სახეობების წარმოების სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება “გარემოს მონიტორინგზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემის შესახებ” საქართველოს კანონით, მაშინ როდესაც კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 68-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული “გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემის შესახებ” საქართველოს კანონი გამოცემულ უნდა იქნეს 2010 წლის 1 იანვრამდე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მითითებული ნორმატიული აქტის სათაურები ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი.</p>	გათვალისწინებულია
			<p>2. კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველა იმ საქმიანობისათვის, რომლებიც არ ექვემდებარება სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას და რომლებიც ახდენენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას, მტკიცდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტები. ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით. მითითებულ ნორმასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია “გარემოზე ზემოქმედების</p>	გათვალისწინებულია

	<p>ნებართვის შესახებ” კანონპროექტის 22-ე მუხლის “ა” ქვეპუნქტის შინაარსი, რომლის შესაბამისად, კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში გამოცემულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის დადგენილება “გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ”, მაშინ, როდესაც “ატმოსფერული ჰაერის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” კანონპროექტით წარმოდგენილი კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.</p>	
--	---	--

